



სსიპ სამცხე-ჯავახეთის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის
2020 წლის
ანგარიში

2020 წ.

შესავალი

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის ანგარიში მოიცავს საქმიანობას 2020 წლის იანვრიდან 2020 წლის ბოლომდე ე.ი. ერთწლიან პერიოდს. ანგარიში ეფუძნება სტრუქტურული ერთეულების მიერ გაწეულ საქმიანობას, ასევე სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმას.

მნიშვნელოვანი მიღწევები

ვიდრე უშუალოდ სტრატეგიულ მიმართულებებზე გადავალთ, არ შეიძლება ხაზი არ გაესვას 2020 წლის განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ეს იყო მიღწევების კუთხით წარმატებული, რადგან ორი უმნიშვნელოვანესი პროცესი დასრულდა წარმატებით - უნივერსიტეტის ავტორიზაცია უმაღლესი განათლების მიმართულებით და უნივერსიტეტის, როგორც პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი ინსტიტუციის ავტორიზაცია. წარმატება დაეფუძნა წინა წლებში გაწეული შრომას და რა თქმა უნდა ორი ათას ოცი წლის მიღწევად ვერ ჩაითვლება, თუმცა, მთელი წლის განმავლობაში სერიოზული უკუკავშირით გაანალიზდა ექპერტთა და ავტორიზაციის საბჭოს წევრთა რეკომენდაციები. ჩვენთვის ყველაზე სერიოზული გამოწვევა იყო ის რეკომენდაციები, რომელთა შესრულება ითხოვდა ფინანსურ რესურსს, ამიტომ ავტორიზაციის მიღების მეორე დღიდან დავიწყეთ ბიუჯეტის შესაძლებლობებიდან გამომდინარე რეკომენდაციების შესრულების განრიგის შედგენა, თუმცა, 20 თებერვალს მიღებულ ავტორიზაციას 16 მარტს მოჰყვა რეალობა, რომელსაც პანდემია ჰქვია და რომელიც, სამწუხაროდ, მოლოდინის მიუხედავად წლის ბოლომდე გაგრძელდა.

წლის ბოლოს შეიძლება კვლავ წარმატებულად შევაჯამოთ უნივერსიტეტის მიერ გამოწვევად ქცეული პანდემია, რომ არა უმძიმესი ადამიანური დანაკარგი, რომელიც აუნაზღაურებელია.

უნივერსიტეტი და 30 წლის იუბილე

2020 წელი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის საიუბილეო წელია. როგორც მოგახსენეთ, ავტორიზაციის პროცესებში ჩაფლული შეხვდა ამ წელს უნივერსიტეტი და გადავწყვიტეთ, რომ როგორც კი წარმატებით დავასრულებდით ამ პროცესს, 20 თებერვლის შემდგომ, აუცილებლად საზეიმოდ გაიხსნებოდა საიუბილეო წელი და დაგეგმილი უამრავი ღონისძიება. მაგრამ ჩვენი გადაწყვეტილება სისრულეში ვერ მოვიყვანეთ გასაგები მიზეზების გამო. შესაბამისად, უამრავი კარგი პროექტი, რომელიც იყო დაგეგმილი, პანდემიის გამო ვერ შესრულდა. ერთ-ერთი უდიდესი მნიშვნელობის მქონე პროექტი გახლდათ ახალქალაქის მეოთხე კორპუსის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც ვერ განხორციელდა. გადაიდო შენობის რეაბილიტაცია, შესაბამისად, პროგრამები, რომლებიც იქ იყო დაგეგმილი, გვიან ამოქმედდება.

უნივერსიტეტი პანდემიის გამო გაჩენილი გამოწვევის წინაშე.

ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის 2020 წლის 2 მარტის №434 განკარგულების საფუძველზე სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება აკადემიურ კალენდარში ცვლილებების შეტანის შესახებ (დადგენილება №1, 04.03.2020 წ. ოქმი №1), რომლის თანახმადაც გაზაფხულის სემესტრის სასწავლო პროცესის ვადებმა გადაიწია ორი კვირით.

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2020 წლის 16 მარტიდან დაიწყო სწავლა დისტანციური სწავლების/კომუნიკაციის ფორმების გამოყენებით უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე - ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა ასევე პროფესიულ პროგრამებზე. სასწავლო პროცესის დისტანციურ რეჟიმში წარმართვაში ხელშემწყობი აღმოჩნდა შემდეგი გარემოებები: 2011 წლიდან უნივერსიტეტში მოქმედებს *სასწავლო პროცესების მართვის ელექტრონული სისტემა*, რომელიც სასწავლო პროცესის ელექტრონულ რეჟიმში ადმინისტრირების საშუალებას იძლევა. 2012 წლიდან მოქმედებს *ელექტრონული საგანმანათლებლო პლატფორმა moodle*. 2013 წლიდან შუალედური და დასკვნითი გამოცდების ჩაბარება მიმდინარეობდა Moodle-ის სასწავლო პლატფორმის გამოყენებით. იტვირთებოდა ყველა სასწავლო კურსის ტესტები და საგამოცდო ცენტრი კომპიუტერულ ლაბორატორიებში ატარებდა გამოცდებს. რადგან Moodle წარმოადგენს საკომუნიკაციო ინსტრუმენტების ფართო სპექტრს (ფორუმი, ჩატი, პირადი შეტყობინება, ბლოგი, კითხვარები, მოთხოვნები, კურსის მონაწილეების აქტივობების განხილვაზე მისაწვდომობის მოხერხებული ინსტრუმენტები), 2014 წელიდან უნივერსიტეტმა დაიწყო მისი გამოყენება სასწავლო კურსებისათვისაც. შესაბამისად, ახალი კორონავირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით შექმნილი მდგომარეობისთვის უნივერსიტეტის ყველა სტუდენტი დარეგისტრირებული იყო პროგრამაზე, ასევე პედაგოგთა უმრავლესობა.

თუმცა სრულიად განსხვავებული იყო ვითარება პროფესიულ პროგრამებზე, სადაც ელექტრონული პლატფორმისა და რესურსის გამოყენება ფაქტობრივად არ ხდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლების განმავლობაში პედაგოგებთან სისტემატურად მიმდინარეობდა ინდივიდუალური და ჯგუფური სწავლება ელექტრონული სწავლების პლატფორმის - Moodle-ის პროგრამის მოხმარებისათვის. აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ იქმნებოდა ელექტრონული სასწავლო კურსები, სტუდენტებს ამლევდნენ დავალებებს, ხდებოდა რეფერატების, პროექტებისა და ნაშრომების შემოწმება პლაგიატზე, ტარდებოდა გამოცდები აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ აკადემიური თავისუფლების ფარგლებში, აკადემიური/მოწვეული პერსონალის მხლოდ მცირე ნაწილი სარგებლობდა ელექტრონული სწავლების პლატფორმით, და პროფესიული განათლების მასწავლებლების აბსოლუტური უმრავლესობა არ იყენებდა არათუ Moodle-ის, არამედ არცერთ ელექტრონულ პლატფორმას. შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა მასწავლებელთა გადამზადების საკითხი როგორ უმაღლეს, ისე პროფესიულ განათლებაში. ტრენინგების, ინსტრუქციების, ვიდეორგოლების მომზადება დაევალა სამეცნიერო ბიბლიოთეკის ტექნიკური ხელმძღვანელსა და Moodle-ის ადმინისტრატორს, შედგა

გრაფიკი ფაკულტეტების მიხედვით, მასწავლებლებს შეეტავაზათ ფორმატი - ჯგუფური თუ ინდივიდუალური და პირველ ეტაპზე ყველაზე პოპულარული ქსელებით ფეისბუკით და ზუმით დაიწყო ტრენინგების ჩატარება.

ელექტრონული სწავლების ფორმაზე გადასვლის უზრუნველყოფის, პერსონალისა და სტუდენტების/პროფესიული სტუდენტების სრული ჩართულობისა და მათი საჭიროებების გამოვლენის მიზნით უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფისა და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ მომზადდა კითხვარები. გამოკითხვა ჩატარდა, ელექტრონული სწავლების დაწყების შემდეგ, 4 აპრილს, ელექტრონულად [google. drive](https://drive.google.com)-ის ფორმატში, პროფესიულ დომეზე კოორდინაცია გაუწიეს პროგრამის ხელმძღვანელებმა. .

თითოეული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ მომზადებული ანგარიშები წარმოდგენილი იქნა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში, ხოლო კვლევის შეჯამებული, კონსოლიდირებული ანგარიში გამოიგზავნა უნივერსიტეტის რექტორთან, ჩვენ გულდასმით გავეცანით შედეგებს, დასკვნებს, რეკომენდაციებს და დაიგეგმა შემდგომი ნაბიჯები. გასათვალისწინებელი იყო ის გარემოებაც, რომ სასწავლო პროცესი ცენტრალიზებულად შეჩერდა პროფესიულ საფეხურზე, გაგრძელების შესაძლებლობა დარჩა უმაღლეს განათლების პროგრამებზე, თუმცა მასწავლებელთა გადამზადების ნაწილში პროფესიული მასწავლებლების ცართვა მივიჩნიეთ სავალდებულოდ.

გამოიკვეთა მხარდაჭერის საჭიროებები, რასაც, ვფიქრობთ, უნივერსიტეტმა ადეკვატურად უპასუხა, რაც სწორი მენეჯმენტის, მართვისა და გადაწყვეტილებების მიმღები ორგანოების დამსახურებაა. რეალურად ამოქმედდა ბიზნესუწყვეტობის გეგმა, რაზეც სხვათა შორის, ავტორიზაციისთვის მზადების პროცესში ბევრი კითხვა გვექონდა და მისი მნიშვნელობა ბოლომდე არ იყო გააზრებული. არ შეიძლება არ აღინიშნოს, ფაქტობრივად, უწყვეტი კომუნიკაცია სამინისტროს უმაღლესი და პროფესიული განათლების დეპარტამენტებთან.

სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტებს, ასევე პერსონალს მხარდასაჭერად შევთავაზეთ :

1. ფინანსური დახმარება დახმარება ინტერნეტპაკეტების შესაძენად;
2. დროებით მფლობელობაში კომპიუტერების გადაცემა;
3. ტრენინგების ჩატარება ციფრული კომპეტენციების ასამაღლებლად;
4. რეგულაციები, რომელიც მისცემდათ სილაბუსებსა და სასწავლო პროგრამებში საჭირო ცვლილებების შეტანის საშუალებას, ისე, რომ სწავლის შედეგები არ შეცვლილიყო.
5. პერსონალს, როგორც პედაგოგებს, ისე ადმინისტრაციას უნივერსიტეტის დაფინანსებით შეეთავაზათ ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტი.
6. პანდემიის მიუხედავად, მეტიც პანდემიური მდგომარეობის გათვალისწინებით გაიზარდა ხელფასი 10 %-ით.

უნივერსიტეტმა მნიშვნელოვანი საშეღვათო პოლიტიკა შეიმუშავა. უნდა აღინიშნოს სამინისტროს დამოკიდებულება და ჩვენთვის მოცემული რეკომენდაციები, რომელიც

ყოველთვის გულისხმობდა სტუდენტთა მხარდაჭერას. გაზაფხულის სემესტრში, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, პანდემიის გამო ფინანსურად დაზარალებული სტუდენტებისთვის სტატუსი არ შეგვიჩერებია. გავახანგრძლივეთ ვადები 24 აგვისტოდან 11 სექტემბრამდე. უფრო მეტიც, ჩვენ შევთავაზეთ – თუ სტუდენტი ამ რთულ პერიოდში 11 სექტემბრამდეც ვერ გადაიხდის გადასახადს, მაგრამ აკადემიური დავალიანება არ ექნება და მომართავს უნივერსიტეტს, მაშინ, ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, ჩვენ მას ინდივიდუალურ ხელშეკრულებას დავუდებთ, გარკვეულ ვადებთან დაკავშირებით. სპეციალურად გაწერილ დროში მივცემთ საშუალებას, რომ ამ კრიზისული სემესტრის თანხა დაფაროს. ჩვენ ხელს შევუწყობთ, რომ სემესტრი არ დაკარგოს. ახლა ამ ვითარებაში ვართ – სტუდენტების ნაწილმა, ვისაც ჰქონდა საშუალება, გადასახადი დაფარა და აქაც მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება გამოიჩინეს, ხოლო ნაწილმა, სტატუსის შეუჩერებლად, მოიპოვეს უფლება, სექტემბრამდე გადაავადონ თავიანთი გადასახადი და ზაფხულში ეტაპობრივად დაფარონ. თუ კი უნივერსიტეტს რამე ხელეწიფებოდა, რომ ქვეყანაში შექმნილი ეს ურთულესი ვითარება შეემსუბუქებინა სტუდენტებისთვის, ჩვენ თავი არ დაგვიზოგავს. ამით, გარკვეულწილად, გამოვეხმაურეთ ქვეყნის მიერ არჩეულ პრიორიტეტს – მთავარი ადამიანების ჯანმრთელობაა, მთავარი ადამიანის სიცოცხლეა, დანარჩენ ყველა პრობლემას ერთად მოვუვლით.

ეს იყო ის მექანიზმები, რაც ავამოქმედეთ ამ პერიოდში და რაც გვაფიქრებინებს, რომ არ დადგა უნივერსიტეტში იმის საფრთხე, აკადემიურ წლად რომ გამოცხადებულიყო კრიზისული პერიოდი.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ინფორმაციით, არ დარჩენილა არ ერთი სტუდენტი/პროფესიული სტუდენტი, რომელიც რესურსის არქონის გამო ვერ ჩაერთო პროგრამაში. ყურადღება გვინდა გავამახვილოთ კვლევისას გამოვლენილ ერთ მოულოდნელ კანონზომიერებაზე - როგორც უმაღლეს, ისე პროფესიულ პროგრამებზე სწავლის განახლების შემდგომ პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ დასწრების და სტუდენტთა ჩართულობის პროცესი გაუმჯობესდა.

გამოწვევად დარჩა პრაქტიკული კომპონენტი, რამდენადაც პროგრამებმა მოგვცა საშუალება, გადავავადეთ, უკიდურეს შემთხვევაში მივიღეთ გადაწყვეტილება გრაფიკის მიხედვით მცირე ჯგუფებად გადაგვეყვანა პროფესიული სტუდენტები და პრაქტიკული კურსების მქონე სტუდენტები პირისპირ რეჟიმზე. ასევე შესრულდა კვლევის შედეგად ხარისხის უზრუნვეყოფის სამსახურიე მიერ შემუსავებული რეკომენდაციები:

- შემუშავდა ელექტრონული სწავლების ინსტრუქცია;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაიგეგმოს საკონსულტაციო სახის შეხვედრები ფაკულტეტების ხარისხის სამსახურის უზრუნველყოფის სპეციალისტებთან, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან;
- უზრუნველყოფილი იქნა განმარებითი ტრენინგები (მეორე სემესტრის დაწყებამდე) როგორც სტუდენტების/პროფესიული სტუდენტების, ისე პედაგოგებისათვის როგორც პირისპირ, ასევე დისტანციურ რეჟიმში.
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ მოხდა იმ პირთა სახელობითი განსაზღვრა,

ვისაც აქვს ხელისშემშლელი გარემოებები ელექტრონულ საკომუნიკაციო საშუალებებზე;

- შემუშავდა ელექტრონული/დისტანციური სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მონიტორინგის მექანიზმები.

კვლევა

უნივერსიტეტმა ტრადიციულად მონაწილეობა მიიღო მეცნიერების კვირეულში, რომელიც წეს გაიმართა სახელწოდებით: „მეცნიერება კაპიტანია“. რუსთაველის ფონდის მიერ კეთილმოწყობილ აუდიტორიაში სამეცნიერო კვირეულის ფარგლებში გაიმართა წიგნის „მათემატიკური მოდელირება მცენარეთა დაცვის საკითხებში“ პრეზენტაცია (ავტორები არიან სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გურამ ალექსიძე და ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი ლერი ნოზაძე).

უნივერსიტეტს გაცხადებული აქვს, რომ კვლევითი საქმიანობის ერთ-ერთი სივრცე სწორედ სადოქტორო პროგრამებია. მნიშვნელოვანი იყო ის, რომ წელს პირველი კურსდამტავრებული გამოუშვა ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ინფორმატიკის სადოქტორო პროგრამამ. მომზადდა დისერტაცია „მონაცემთა ანალიზის თანამედროვე ტექნოლოგიები სასწავლო პროცესის მართვაში“ (დოქტორანტი ნინო ბერიძე)

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნულ ასტროფიზიკურ ობსერვატორიას შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის მიზანს წარმოადგენს მჭიდრო ურთიერთობების ჩამოყალიბება საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევების სფეროში.

პანდემიის პირობებში ღონისძიებებთან დაკავშირებით შექმნილმა ვითარებამ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი დასკვნა გაგვაკეთებინა. აღმოჩნდა, რომ შეიძლება ონლაინ რეჟიმში, ურთიერთობის ეს ფორმა სასიკეთოდ გამოვიყენოთ არა მხოლოდ სალექციო მიზნებითვის. დიახ, გაგრძელდა კონფერენციები, მეტს გეტყვით – აღმოვაჩინეთ, რომ ასე, ონლაინ რეჟიმში ჩატარებულ კონფერენციებზე ფორმატიც კი გაფართოვდა, ზოგიერთმა ფაკულტეტმა უცხოეთიდანაც კი ჩართო მონაწილეები. საერთაშორისო არ დაგვირქმევია, მაგრამ რეალურად საერთაშორისო ფორმატად იქცა.

ჩვენი უნივერსიტეტი დაუბრუნდება ჩვეულ რეჟიმს, დარწმუნებულები ვართ ჩვენი ქვეყნის ძლიერებაში, რომ საქართველო ამ გამოწვევებს ისევე ღირსეულად გაუმკლავდება, როგორც ახერხებდა დღემდე და დაუბრუნდებით ჩვეულ ფორმას, მაგრამ აღარ იქნება ეს ზუსტი გამეორება დღემდე არსებულის. აუცილებლად ის იქნება ორივე ფორმატის და ჩვენი გამოცდილების ნაერთი. ჩვენ აუცილებლად დავამკვიდრებთ შერეულ ფორმატს ჩვენს საქმიანობაში. დისტანციურმა რეჟიმმა დაგვანახა, რომ ადამიანთა კონტაქტური ურთიერთობები ლექტორსა და სტუდენტს შორის, აკადემიურ პერსონალს შორის, ადმინისტრაციას შორის შეუცვლელია და ეს ძალიან საჭიროა. ალბათ, ვერანაირ რეჟიმზე ვერ გავცვლით სტუდენტებით ახმაურებულ დერეფნებს, აუდიტორიებს, გადავსებულ ეზოს ჩვენი უნივერსიტეტის სხვადასხვა კორპუსში. ამას ვერ შეველევი ვერც ერთ შემთხვევაში, რა შედეგებიც უნდა დადოს ონლაინ სწავლებამ. მაგრამ ახლა უკვე ვერც ამ დისტანციური რეჟიმით მიღწეულ სიკეთეს შეველევი. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს სამეცნიერო კონფერენციების დროს.

ყველა ფაკულტეტმა შეძლო, ჩაეტარებინა სტუდენტური კონფერენცია. ძალიან მაღალი აქტიურობა იყო ახალქლაქის კორპუსის სტუდენტების, რა თქმა უნდა, ამას მივსალმებით. ასევე ყველა ფაკულტეტმა ჩაატარა პროფესორთა კონფერენცია. ამ რთულ პერიოდში პროფესორებმა მოძებნეს ძალები და შევხვდით სამეცნიერო კონფერენციის ფარგლებში. ჩვენ ეს შევძელით, რა თქმა უნდა, ჩვენივე გამოცდილების საფუძველზე.

უნივერსიტეტი გააგრძელებს არსებობას აუცილებელად ამ ორი ფორმატის კარგი შედეგების გათვალისწინებით; დამკვიდრდება როგორც ონლაინ ჩართვები კონფერენციების დროს, ზოგ შემთხვევაში ჩატარდება შერეული ტიპის კონფერენციები, როდესაც კონტაქტური იქნება სესია, მაგრამ მომხსენებელი შეიძლება უცხოეთიდან ჩავრთოთ. ეს უკვე სტრატეგიაშიც, ჩვენს სამოქმედო გეგმაშიც სერიოზულად აისახება. ასე რომ, მიუხედავად იმისა, რომ პანდემია არის ურთულესი გამოწვევა კაცობრიობისთვის, ის, რაც გვაიძულა პანდემიამ და კრიზისულმა ვითარებამ, ვფიქრობ, არ უნდა დაგვარგოთ და ის კარგი შედეგები, ჩვენივე აღმოჩენილი შესაძლებლობები, რომლისაც ბოლომდე თავად არ გვჯეროდა, აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ სამომავლოდ.

სწავლა-სწავლება

კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და ამავდროულად სწავლა-სწავლების სტრატეგიული მიმართულებით დაგეგმილი მიზნების განხორციელებად უნდა ჩაითვალოს ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის კრედიტაცია. აკრედიტაცია მიენიჭა ასევე:

ბიზნეს-ინფორმატიკის სამაგისტრო პროგრამას (სრული ვადით).

ავტორიზაცია მიენიჭა შემდეგ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს;

საბაჟო საქმე

საბუღალტრო აღრიცხვა

საექთნო განათლება

კომპიუტერული ქსელი და სისტემები (ინტეგრირებული მოდულებით)

ძალიან მნიშვნელოვანია. რომ საექთნო განათლების პროგრამაში ახალციხის რეფერალურ საავადმყოფოსთან „ევექსის“ ქსელთან გვაქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი და ისინი იქნებიან ამ პროგრამის განხორციელებაში უშუალოდ ჩართულები; ჩვენ გვექნება კიდევ უმნიშვნელოვანესი ახალი პროგრამა – ესაა ინტეგრირებული მოდულებით პროფესიული პროგრამა. ესაა სიახლეა მთელი ქვეყნის მასშტაბით. აქამდე ცხრაკლასდამთავრებულს არ შეეძლო, ჩაებარებინა ისეთ პროგრამაზე, რომლის დასრულების შემდეგ აიღებდა ატესტატთან გათანაბრებულ დიპლომს. დაამთავრებს როგორც სკოლას, ასევე, მიიღებს პროფესიას. ეს არის უნიკალური შესაძლებლობა, როდესაც 18 წლის ახალგაზრდას ექნება როგორც ატესტატი, ისე დიპლომი და, რაც მთავარია – პროფესია. მას შეეძლება, თავისუფლად გააგრძელოს თანატოლებთან ერთად, ეროვნული გამოცდების გავლით, უმაღლეს საფეხურზე სწავლა. მას უპირატესობა ექნება თანატოლებთან შედარებით იმიტომ, რომ ექნება პროფესია, ექნება სკოლის ატესტატთან გატოლებული დოკუმენტი, ექნება საშუალება, გააგრძელოს სწავლა უმაღლესი განათლების საფეხურზე. ჩვენ ავირჩიეთ პროგრამა – კომპიუტერული ქსელი და სისტემები. ესეც ეტაპობრივი მნიშვნელობის სიახლეა. ვფიქრობ, ბევრი ახალგაზრდა ისარგებლებს ამ სიკეთით და თავისი გონივრული გადაწყვეტილებით გაუსწრებს ზოგიერთ თავის თანატოლს. პროგრამებზე ისწავლება ინგლისური, ძალიან მაღალ

დონეზე ისწავლება ქართული, ის სასწავლო კურსებიც კი, რომელიც შემდეგ სტუდენტს ეროვნული გამოცდებისთვის დასჭირდება. აპლიკანტი არაფერს არ კარგავს, მხოლოდ და მხოლოდ ორმაგ სიკეთეს იღებს სახელმწიფოს დაფინანსებით.

მატერიალური რესურსი

გაციფრულდა და გამრავალფეროვნდა საბიბლიოთეკო რესურსი. სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებული რესურსის 80 % გაციფრულდა.

საქართველოს რუსთაველის ეროვნული ფონდის დაფინანსებით გარემონტდა 105-ე აუდიტორია, რომელიც სამომავლოდ „ჰორიზონტი 2020-ის“ , ანუ კვლევითი საქმიანობის ოფისად იქცევა.

შემოდგომის სასწავლო სემესტრის დაწყებამდე კორონა ვირუსის ინფექციის შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით სადუბინფექციო სამუშაოები ახალციხეში მდებარე პირველ და მეორე სასწავლო კორპუსებში და ლექტორთა საერთო საცხოვრებელში ჩატარდა. ასევე, მესამე კორპუსსა და სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში, რომელიც ახალქალაქში მდებარეობს.

აქტიურად დავიწყეთ სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის სამსახურის რეკომენდაციების შესრულება. აღნიშნული თავის მხრივ მოიცავს კორპუსების სახურავების ხის კონსტრუქციების ცეცხლდაცვის ხსნარებით დამუშავებას. ამავე დროს, შეძენილი იქნა, ახალი ცეცხლმაქრების გარკვეული რაოდენობა, ხოლო ძველები დაიტუმბა. ამასთანავე, გამოცხადდა ტენდერი პირველი სასწავლო კორპუსის სამისამართო ტიპის სახანძრო სიგნალიზაციის მოწყობის სახელმწიფო შესყიდვაზე.

უნივერსიტეტს ესტუმრა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე თამარ ქიტიაშვილი პროფესიული განათლების მიმართულებით მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტებისა და სასწავლო პროცესის გაცნობის მიზნით, ახალქალაქში მინისტრის მოადგილე სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე კორპუსში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნო. შენობას, სადაც მხოლოდ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიმართულების სტუდენტები ისწავლიან.

ადამიანური რესურსი

შევიმუშავეთ შესაბამისი კრიტერიუმები და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან კოორდინაციით ჩავატარეთ ინტეგრირებული მოდულებისთვის პროფესიული განათლებლის მასწავლებლების შესარჩევი კონკურსები

მართვა

მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია და ჩვენ ამას პანდემიის დასრულების შემდგომაც გამოვიყენებთ, დაინერგა არჩევნების ელექტრონულად, დისტანციური ფორმით ჩატარების პრაქტიკა. ეს საარჩევნო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის დიდი დამსახურება და მიღწევაა.

უნივერსიტეტში ღიად და გამჭვირვალედ ჩატარდა არჩევნები რამდენიმე მნიშვნელოვან

პოზიციაზე:

გაიმართა დეკანის არჩევნები განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე

ასევე გაიმართა სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები, პრეზიდენტის არჩევნები;

სტუდენტების მონაწილეობით არ შეწყვეტილა ღონისძიებები დისტანციური რეჟიმის გათვალისწინებით. სტუდენტებს ჰქონდათ შთამბეჭდავი წარმატებებიც, ოთხმა სტუდენტმა გაიმარჯვა რესპუბლიკის მასშტაბით გამოცხადებულ კონკურსში, ასევე სტუდენტურმა ჯგუფებმა წარმატებით იასპარეხეს შეჯიბრებებში.

სტუდენტებისთვის ჩატარდა:

- საორიენტაციო შეხვედრები როგორც უმაღლესი განათლების, ისე პროფესიული სტუდენტებისთვის.
- ულტრა-მემარჯვენე პოპულიზმისა და რადიკალიზმის შესახებ საჯარო ლექცია (შეხვედრას უძღვებოდნენ ზვიად ქორიძე და ლაშა ტულუში).
- ახალგაზრდა მეცნიერის, არქეოლოგ გიორგი ჩილინგარაშვილის ონლაინლექცია თემაზე: „უახლოესი სამეცნიერო აღმოჩენები სამცხიდან, რეგიონის არქეოლოგიური კონტექსტი და კვლევის პერსპექტივა“.
- უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის, პოეტ გიორგი ბერიძესთან (ბერ-ჯავახი) შეხვედრა.
- პროექტის „სამთო და ეკოტურიზმის განვითარება სამცხე-ჯავახეთში“ ფარგლებში, აშშ-ს საელჩოს US Embassy Tbilisi, Georgia მხარდაჭერითა და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ერთკვირიანი ინტენსიური ტრენინგ-კურსი უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის.
- პროფესორ რევაზ ჭილაძის პრეზენტაცია თემაზე „ქართული სახელწოდების მცირე პლანეტები“.
- პროფესორ ნატო ყრუაშვილის საჯარო ლექცია თემაზე "ცნობილი მესხი მოღვაწეები".
- კურსდამთავრებულთა გამოსაშვები ცერემონიალები სამივე კორპუსში
- ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის, ლევან მაკარაძის ლექცია „დავიცვათ ცხოველების ჯანმრთელობა და შევინარჩუნოთ ჩვენი მომავალი“.

კომუნიკაცია/პარტნიორული ურთიერთობები/ინტერნაციონალიზაცია

2020 წელს უნივერსიტეტს არ შეუწყვეტია აქტიური კომუნიკაცია თავის პარტნიორებთან. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა განაახლა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ორგანიზაცია ლოგოსთან გერმანიაში.

ქალაქ ახალციხის საგანმანათლებლო რესურსცენტრის და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა

საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა, ქალაქ ახალციხის და ახალციხის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის დირექტორები და მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლებთან.

გამართა ანტიდისკრიმინაციული სამართლის სწავლების პროექტის პრეზენტაცია და განხილვა აუდიტორიასთან. პრეზენტაციები გამართეს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის ვიცერექტორმა, პროფესორმა დიმიტრი გეგენავამ და ამავე უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა გიორგი გორაძემ. დაისახა გზები სამომავლო თანამშრომლობისა და სხვა ერთობლივი პროექტების ორგანიზების შესახებ.

გაჩნდა ისეთი პროგრამები, ისეთი პროექტები, რომელიც დაგეგმილი არ გვქონდა და საიუბილეო წლისთვის სიურპრიზებად იქცა ჩვენი სტუდენტებისთვის. ერთ-ერთი ასეთი პროექტი, რომელსაც ჩაეყარა საფუძველი, არის გუდავამე-პატარკაციშვილის ფონდის მიერ დაფინანსებული სტიპენდიები მომავალი პედაგოგებისთვის, პედაგოგობის მსურველთათვის. ჩვენ ძალიან წარმატებული თანამშრომლობა გვქონდა საქართველოს დებატებისა და განათლების ინსტიტუტთან. წელს, პანდემიის მიუხედავად, ჩვენს უნივერსიტეტში ძალიან საინტერესო საპილოტე კურსი განხორციელდა ამ ინსტიტუტის მიერ პროექტის „დებატები უკეთესი განათლებისთვის“ ფარგლებში, რაც გულისხმობდა დებატების, როგორც სწავლების მეთოდის გამოყენებას საკლასო ოთახში. ეს იყო საპილოტე კურსი, რომელიც შეეთავაზათ მასწავლებლის მომზადების დამატებითი პროგრამის სტუდენტებს, ესეც არჩევით კურსად შეეთავაზეთ და ყურადღებით ვადევნებდით თვალს, როგორ ჩაივლიდა ეს კურსი. პროექტი დაფინანსებული იყო გუდავამე-პატარკაციშვილის ფონდის მიერ. ეს იყო ჩვენი პირველი თანამშრომლობა აღნიშნულ ფონდთან. პანდემიის მიუხედავად, კურსმა მოლოდინს გადააჭარბა – სტუდენტების 100 პროცენტის ჩართულობით, შეიძლება ვთქვათ, მათივე შეფასებით, აღმოჩნდა ძალიან წარმატებული. პროგრამის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ირმა ქურდაძემ დააფიქსირა მზაობა, რომ კურსი შეიტანოს პროგრამაში.

შესაბამისად, ამ წარმატებულმა თანამშრომლობამ გუდავამე-პატარკაციშვილის ფონდის მხრიდან, გამოიწვია მეორე ძალიან საინტერესო ინიციატივა. ფონდისა და მისი ხელმძღვანელის, ბატონი ზურაბ კერვალიშვილის ინიციატივა იყო ის, რომ ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტები დაეფინანსებინათ. იგულისხმება 10 სტუდენტის დაფინანსება, თითო სემესტრი (თანხა სახელმწიფო სტიპენდიის თანაბარია – 150 ლარი). ერთადერთი წინაპირობა, რაც ამ ფონდს აქვს ჩვენთან მიმართებით, არის ის, რომ ის მომავალ მასწავლებელს აფინანსებს. სტუდენტები დაფინანსდებიან საკონკურსო პირობებით. კონკურსში მონაწილეობას მიიღებენ ის სტუდენტები, რომლებიც ან სწავლობენ უშუალოდ დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ პროგრამაზე ან არჩეული აქვთ მასწავლებლის მომზადების პროგრამა, როგორც დამატებითი პროგრამა. წარმატებას ვუსურვებ ჩვენს ყველა სტუდენტს. გუდავამე-პატარკაციშვილის ფონდის ეს ინიციატივა, ხელს შეუწყობს, რაც ყველაზე მთავარია – ხარისხს სწავლებისას, რადგან პირველი კრიტერიუმი არის მაღალი აკადემიური მოსწრება და სტუდენტების მოტივაცია გაიზრდება, რათა გახდნენ

სტიპენდიანტები ამ კონკრეტული ფონდის. ეს იყო ერთ–ერთი, ალბათ, ამ რთული ვითარების დროს, ამ საიუბილეო პერიოდში, საუკეთესო საჩუქარი უნივერსიტეტისთვის.

ვფიქრობ, მეორე უმნიშვნელოვანესი პროექტი ეს არის აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს საბაზო განათლების ხელშეწყობის პროექტი, რომელიც გულისხმობს სკოლის მასწავლებლებისა და დირექტორების გადამზადებას. მნიშვნელოვანი რეფორმები მიმდინარეობს სკოლის სასწავლო გეგმასთან მიმართებით; იქმნება ახალი სკოლის მოდელი, აბსოლუტურად ახლებური მიდგომა სასწავლო გეგმასთან, რომელიც ცვლის სწავლის კონცეფციას და თავიდან ბოლომდე არის ორიენტირებული ცოდნაზე, ცოდნასთან ერთად მისი გამოყენების უნარ–ჩვევების ჩამოყალიბებასა და გამომუშავებაზე სკოლაში. სკოლის მოდელზე საუბარი შორს წაგვიყვანს, მაგრამ მივესალმებით იმას, რომ ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით განხორციელებულ პროექტში, რომელიც საქართველოს განათლების სისტემის მხარდაჭერას გულისხმობს, ერთ–ერთი სერიოზული რგოლი იქნება სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჩვენი რეგიონის სკოლების მასწავლებელთა მომზადება–გადამზადება სწორედ სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს ერგო ამ პროექტის მიხედვით.

მნიშვნელოვანია, რომ გადამზადდება 201 სკოლის დირექტორი ლიდერობის უნარ–ჩვევით და რატომ? იმიტომ, რომ პირველ რიგში დირექტორმა უნდა გააცნობიეროს ახალი სკოლის მოდელის კონცეფცია, რათა მან ხელი შეუწყოს პედაგოგებს, ამ კონცეფციის მიხედვით განახორციელონ სწავლება; 309 მასწავლებელი გადამზადდება დაწყებითი განათლების საფეხურზე კითხვასა და მათემატიკაში. ასეთი დიდი არმია პედაგოგებისა და დირექტორების გადამზადდება სამცხე–ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე ამ პროექტის ფარგლებში. ეს არ გულისხმობს, რომ უნივერსიტეტი დამოუკიდებელად შექმნის მათი გადამზადების პროგრამას. რა თქმა უნდა, არა. ჯერ უნივერსიტეტის პროფესორის გარკვეული ნაწილი გაივლის თვითონ მომზადებას. ამის შემდეგ განხორციელდება ეს პროგრამა.